დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109231712**
თარიღი:**20/06/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის Ng-109. 109223423 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართელოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება “დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის Ng-109.109223423 განკარგულებით დამტკიცებულ დანართ N1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაციისა და ნორჩი სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით, ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ეს წესი განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სპორტის სფეროს განვითარება“ (0501) ქვეპროგრამის "ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობის“ (050103) განხორციელების პირობებს, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.

1.2 ქვეპროგრამის მიზანია:

- ახალგაზრდა თაობის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის, როგორც სპორტის ერთერთი სახეობის პოპულარიზაცია;

1.3 ქვეპროგრამის განმახორციელებელია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

1.4 დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ნორჩ ფეხბურთელთა ხელშეწყობა“(050103) ფარგლებში.

მუხლი 2. წესით მოსარგებლენი

2.1 აღნიშნული წესით ისარგებლებენ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 6-12 წლის ასაკის სპორტსმენები, რომლებიც ჩაირიცხებიან მუნიციპალიტეტში მოქმედ შპს. „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლაში“.

2.2 ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება - 60 (სამოცი) ერთეულით.

2.3 განაცხადების გადარჩევისას, უპირატესობით ისარგებლებენ შემდეგი პირები:

- იძულებით გადაადგილებული პირები;
- არასრულწლოვანი ობლები;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები (ქულა 100 000-მდე);
- განსაკუთრებული მონაცემების მქონე სპორტსმენები, რომელთა სპორტული ნიჭი დადასტურდება დინამოს წარმომადგენლისა და მწვრთნელთა შესაბამისი დასკვნით.

მუხლი 3. დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

3.1 დაფინანსების მიღების მიზნით, წესით მოსარგებლემ უნდა წარმოადგინოს:

ა) მშობლის, მეურვის/მზრუნველის განცხადება დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ) ცნობა რეგისტრაციის (ჩაწერის) ადგილის შესახებ;

ე) შპს. „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლაში“ ჩარიცხვის/რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.2 დამატებითი დოკუმენტაცია, არსებობის შემთხვევაში:

ა) **ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფის შემთხვევაში** - ცნობა ან ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის თაობაზე;

ბ) **მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში** - ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები, ცნობა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების შესახებ;

გ) **იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში** - დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზ) **ობლობის შემთხვევაში** - მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობა/მოწმობების ასლი.

თ) **განსაკუთრებული მონაცემების მქონე სპორტსმენების შემთხვევაში** - დინამოს წარმომადგენლისა და მწვრთნელთა შესაბამისი დასკვნა.

მუხლი 4. დაფინანსების გაცემა

4.1 ნორჩ ფეხბურთელს, რომლის დინამოს აკადემიაში ჩარიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ყოველთვიური გადასახადი დაუფინანსდება თვიური ღირებულების 50 % - ის ოდენობით;

4.2 წარმოდგენილ განაცხადს, ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისობას ამოწმებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს.

4.3 დაფინანსება გაიცემა დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დასკვნის საფუძველზე. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური, მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ქვეპროგრამისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს დაფინანსებას.

4.4 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დინამოს აკადემიის შესაბამის ანგარიშზე დარიცხვით.